ეთიკის კომისიის
ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.07.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 017/14
შეკითხვა:
შესაძლებელია თუ არა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ იმსჯელოს მომსახურების თანხის დაბრუნების საკითხზე? დასაშვებია თუ არა, რომ კომისიას საჩივრით მიმართოს ადვოკატმა და რა შედეგი შეიძლება დადგეს?
ანალიზი:
„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი: „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე."
„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტი: „ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს."
იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით დაირღვა მისი ან მისი კლიენტის უფლებები, მას, კლიენტის თანხმობით ან, საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შეუძლია საჩივრით მიმართოს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას. დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით არის ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე. დებულების მე-10 მუხლი კი დასაშვებად მიიჩნევს წარმომადგენლობას დისციპლინურ საქმისწარმოებაში.
ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. შესაბამისად, წინასწარ სავალდებულოდ ვერ განისაზღვრება საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგი.კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.
„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ამავე

მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის საქმის წარმოების ხარჯებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე განიმარტება, რომ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს". შესაბამისად, მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის უკან დაბრუნების საკითხის განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის, მხარეს შეუძლია ამის თაობაზე მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის წინააღმდეგ.

დასკვნა:

ადვოკატს, როგორც პირადად, ასევე, როგორც კლიენტის წარმომადგენელს შეუძლია მიმართოს საჩივრით ეთიკის კომისიას სხვა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით რის შედეგადაც შესაძლოა დადგეს საჩივრის ავტორისათვის სასურველი შედეგი, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის უკან დაბრუნების საკითხის განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის, მხარეს შეუძლია ამის თაობაზე მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს.

ადვოკატის წინააღმდეგ. დისციპლინური სახდელის სახეებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.